



### ჩა შელეტი წნტიოქელი

#### ქრობისათჳს ღა შისხმისა ყრმათამსა\*

ითარცა მოვიდა და მოინია დღესას-  
წაული იგი ბალარჯობისაჲ, რომ-  
ელსა ჰყოფდეს ჰურიანი იგი მსგავ-  
სად მამათა მათთა, დაჯდა შესუ  
კიცუსა ზედა და შევიდა **სერუსალემდ**. **და** თუ  
სასწაულთა მათ გამო ვერ იცნეს იგი, მდაბ-  
ლად მისულითა ღათუ იცნან იგი?

შაშინ უფრომსლა აღივსნეს შურითა; რო-  
მელთაჲ ჯერ-და წეს-იყო ყრმებსა მას თანა ჳმ-  
ობაჲ და წინა მიგებებად, იგინი ყრმებსა მასცა აღ-  
უმებდეს. **წითარ** იხილეს კრებაჲ იგი ერისაჲ მის,  
რამეთუ ჳმითა კურთხევისაჲთა აღასრულებდეს  
წინანარმეტყუელებასა მას **ხაქარიასსა**, მოვ-  
იდეს შესუსა და რქუეს: «შეჰრისხენ ყრმათა  
მაგათ, რაჲთა არა ეგრე ჳმობდენ». **ქქუა** მათ  
შესუ: «დაღათუ ეგენი დადუმნენ, რომელთაგან  
წინანარმეტყუელებაჲ აღესრულების, ქვანი ესე  
ღაღადებდენ მაგათ წილ» (ლუკ. 19, 40).

ჴოლო არა ეგების უტყუთა ჳმობაჲ და პირ-  
მეტყუელთა უმანკოთა დადუმებაჲ. **აკუეთუ**  
ჳმობდენ ყრმანი ეგე თქუენნი, აღ-ვიდრემე-  
ასრულებენ წინანარმეტყუელებასა. **და** ერიცა  
იგი, რომელ მოკრებულ იყო, აკურთხევდეს, და  
წარმართნი რტოებითა მით დანაკის კუდისაჲთა  
წინა მიეგებვოდეს შჳსნელსა მას სოფლისასა.

ჴოლო **აფალმან** ვითარცა იხილა **სერუსა-  
ლემი**, მწუხარე იყო დღესა მას სიხარულისა თვ-  
სისასა, ტიროდა მას ზედა და თქუა: «ნეტარმცა  
იყო შენ ზედა, **სერუსალემ**, გამო-თუმცა-ცხ-  
ადებულ იყო შენდა ჟამი ესე ჳსნისაჲ!» ხოლო  
მღდელთა მათ რაჲთამცა რწმენა საქმეთაჲ მათ,  
რომელი ეხილვა თუალითა მათითა, გულის-  
წყრომაჲ გულის-წყრომასა დაურთეს და აყენ-  
ებდეს წინანარმეტყუელებასა მას, რომელი  
ჩჩვლთა მიერ აღესრულებოდა და ეშინოდა  
მძღავრ დადუმებად ყრმებისა მის, ნუჟუჟე  
ქვაჲ დაჰკრიბოს ერმან მან. შოვიდეს შესუსა  
და ჰრქუეს: «არა გესმისა, რასა-ესე იტყუიან  
შენთვის?» ჰრქუა მათ შესუ: «მესმის მე, რასა  
უნესოსა იტყუიან, რამეთუ დაადუმებთ მაგათ;  
ნუჟუჟე უცხოღ ანუ **ქქედ** უცხოჲსად იტყუიანა

და არა იმრთად და ქედ იმრთისად? უკუეთუ  
**ქქედ** იმრთისად სახელ-მდებენ, თქუენ რაჲსა  
განრისხნებით ანუ მათ რად დაადუმებთ?»

**წწ** რაჲსა-მე დაადუმებენ ყრმებსა მას, რამე-  
თუ აჰა ეგერა რომელი **სოლომონის** ზედა იყო  
შესხმაჲ, რაჟამს-იგი დაჯდებოდა მეფედ **სერუ-  
სალემს** ზედა, რომელსა არცა ბრმასა თუალნი  
აეხილნეს და არცა მკელობელნი ევლინნეს და  
ეგრვით ოხრიდა ქუეყანაჲ ღაღადებითა მით  
და ქებითა. **ჴოლო წმან**, **ქომელმან** ეგოდენნი  
სასწაულნი და საკუირველებანი ქმნა, ვითარ-  
მე იკადრეთ თქუმად, ვითარმედ: დაადუმეთ  
ერი ეგე მცირედისა მაგისთვის ქებისა? ამის  
დღისათჳს მიეცა ქებაჲ ეგე მაგათ და ჳმობაჲ,  
რომელი თქუენცა აღმოგიკითხავს თქუმული  
**წავითისი**, ვითარმედ: «პირითა ყრმათა ჩჩვლთა  
მწოგართაჲთა დაემტკიცოს ქებაჲ» (ფს. 8, 2).

**ჴოლო** დასამტკიცებელად საქმეთა მათ  
ბრძანა **აფალმან** შეძრვაჲ ქუეყანისაჲ, და  
იგინი არცალა შეძრვისა მისთვის ქუეყანისა  
დაემორჩილნეს **აფალსა**. შაშინ მოვიდა ჳმაჲ  
ზეციით და თქუა: «გადიდე და მერმე უმეტვს  
გადიდო» (ინ. 12, 28). **და** ღათუ ძალი ჳმისაჲ მის  
ვერ გულისჳმა-ყვეს **ჰურიათა** მათ, ხოლო ჳმაჲ  
იგი ესმა, რამეთუ იტყოდესცა რომელნიმე: «ქუ-  
ხილი იყოო; და ზოგნი იტყოდეს: ანგელოზი ეტ-  
ყოდაო» (ინ. 12, 29); და არცა ჳმისა მისთვის შეირცხ-  
უნეს და არცა სასწაულთა მათგან და არცა  
ძლიერებათა მისათჳს, რომელთაჲ კიცუსა მას  
ზედა ჯდომისათჳს ხოლო ჯერ-იყო წინა მიეგ-  
ებებად და სიხარული.

ჴოლო ჩუენ, საყუარელნო, განვაგდოთ ეგ-  
ვევითარი უგუზურებაჲ ურწმუნოებისაჲ და წა-  
დიერებით აღვიმსოთ და ყრმათა თანა აღ-  
ვილოთ მცენარეთა რტოჲ და სიხარულით  
აღვიპყრნეთ ჳელნი ჩუენნი და გულითა წმიდითა  
შებმა-უყოთ საღმრთოსა გალობასა, ერთობით  
ყოველნი მივეგებვოდით და ვადიდებდეთ სარწ-  
მუნოებით **აფალსა** იმერთსა ჩუენსა შამით და  
სულით **წმიდითურთ**, აწ და მარადის, უკუნიითი  
უკუნისამდე. **წმენ**.

\* სინური მრავალთავი 864 წლისა, რედ. აკ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 149-150.